განკარგულება:**g-63. 632435920**
თარიღი:**24/12/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თავი III, მუხლი მე-16, პუნქტი მე-2, „ტ“ ქვეპუნქტი, თავი IV, მუხლი 24-ე, პუნქტი 2-ის შესაბამისად განიხილა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2025 წლის პროგრამა (დანართი N1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2025 წლის შემოსავალი (დანართი N 2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2025 წლის ხარჯი (დანართი N 3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი N 4).

5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2025 წლის სპორტის ოლიმპიურ სახეობებში წარმატებულთა სტიპენდია (დანართი N 5).

დანართი N *1*

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“-ს 2025 წლის პროგრამის

აღწერა

ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის შესწავლაში, შერჩეული სპორტსმენების მზადების საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება. სამინისტროების ან სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ მეთოდური საქმიანობის წარმოება. მონაწილეობის მიღება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, სპორტის სახეობათა ფედერაციებისა და სხვა სპორტულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა მიერ ორგანიზებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, სემინარებში და სხვა სპორტულ ღონისძიებებში. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“-ს სასპორტო-საწვრთნელი პროცესის ძირითად ფორმას წარმოადგენს: ჯგუფური საწვრთნელი და თეორიული მეცადინეობები, ინდივიდუალური წესით მეცადინეობები, რომელიც (ინდივიდუალური და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად) აუცილებელია დახელოვნებისა და დაოსტატების ეტაპზე.

მიზანი

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“-ს ძირითადი მიზანია:

• ჭიდაობის განვითარება; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში და მათი მეთოდური აღზრდა - დაოსტატება.

• ჭიდაობის კლუბის მოსწავლეთათვის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების წევრებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა;

• მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს საშუალება მისცეს გაერთიანდნენ ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის ჯგუფებში, მონაწილეობა მიიღონ საქართველოს მასშტაბით (საჭიროების შემთხვევაში- საზღვრებს გარეთაც) ჩატარებულ სხვადასხვა ჩემპიონატებსა და ტურნირებში და აღიზარდონ პროფესიონალ სპორტსმენებად. მომავალში მათ უნდა წარმოადგინონ და ასახელონ სამტრედიის მუნიციპალიტეტი საქართველოს და მის საზღვრებს გარეთაც.

სპორტული ღონისძიებები რომლებშიც აქტიურადაა ჩართული კლუბის

სპორტსმენები:

1.საქართველოს ჩემპიონატი

2.საერთაშორისო ტურნირები

3.რესპუბლიკური ტურნირები

რესურსი

ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი ფინანსდება და

ფუნქციონირებს 100%-ით ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუბსიდიით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

• ფუნქციონირებას გააგრძელებს სპორტული ჯგუფები და სექციები თავისუფალ, ბ/ რომაულ, ქართულ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში .

• წარმატებული სამტრედიელი სპორტსმენების წასახალისებლად , სპორტულ შეჯიბრებებზე მიღწეული შედეგების მიხედვით დაწესდა ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად შემდეგი ფულადი სტიპენდიები, რომელიც გაიცემა 1წლის ვადით.

• მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ განხორციელებული სუბსიდია და დაწესებული შეღავათები არსებული სოციალურად მძიმე ვითარების მიუხედავად უზრუნველყოფს სპორტის მეტნაკლებად შეუფერხებელ განვითარებას, ახალგაზრდა მომავალი თაობის ჩაბმას სპორტში დასაქმებას და მათ ჯანსაღ აღზრდას, რომელთაც საშუალება

ექნებათ ისარგებლონ თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ და კეთილმოწყობილ საჭიდაო დარბაზებით.

საბოლოო შედეგები :

- ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი" ს მიერ განხორციელებული პროგრამის შედეგად შენარჩუნებული და მიღწეული იქნა წარმატებები. კერძოდ კლუბის სპორტსმენებისათვის ხდება ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა მგზავრობით, კვებით, სასტუმროთი უზრუნველყოფა შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება.

  • კლუბის სპორტსმენები გახდნენ: ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიოს პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში დიდებს შორის, ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის, თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, ევროპის პრიზიორი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში დიდებს შორის, თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლამდელთა შორის, თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.

***დანართი* N2**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-ს 2025 წლის შემოსავალი ათ.ლარი

#	შემოსავლის დასახელება	თანხის ოდენობა
1	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	349.30
	სულ ჯამი:	349.30

დანართი N3

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი "ფალავანი"-ს 2025 წლის ხარჯები ათ.ლარი

ეკ. კლას. კოდი	**ორგანიზაციული კოდი**	**სამტრედიის მუნიციპალიტეტი**	**სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან**	2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები
	05010207	**ა.(ა).ი.პ. საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი"**	**349.30**	**349.30**
		მომუშავეთა რიცხოვნობა	**31**	**31**
2		**ხარჯები**	**346.30**	**346.30**
2.1		**შრომის ანაზღაურება**	**211.20**	**211.20**
2.2		**საქონელი და მომსახურება**	**102.30**	**102.30**

2.8		სხვა ხარჯები	32.80	32.80
31		არაფინანსური აქტივების ზრდა	3.00	3.00
31.1		ძირითადი აქტივები	3.00	3.00

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაოკლუბი ფალავანი"-ს 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (ლარი)

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის დასახელება	სახელფასო განაკვეთი	თვის სახელფასო ფონდი	წლის სახელფასო ფონდი
1.	დირექტორი	1	1125	1125	13500
2.	მთავარი სპეციალისტი	1	750	750	9000
3.	სპეციალისტი	1	750	750	9000
4.	ჭიდაობის დარბაზის მენეჯერი	1	750	750	9000
5.	ბუღალტერი	1	640	640	7680
6.	საქმეთამმართველი	1	563	563	6756
7.	მთ.ექთანი	1	484	484	5808
8.	ექთანი	1	400	400	4800
9.	მთ.მწ.მასწავლებელი	1	883	883	10596
10.	მთ. მწ. მასწავლებელი	3	968	2904	34848
11.	მთ. მწ. მასწავლებელი	1	671	671	8052
12.	მთ. მწ. მასწავლებელი	1	527	527	6324
13.	მთ.მწ. მასწავლებელი	2	762	1524	18288
14.	მწ. მასწავლებელი	1	671	671	8052
15.	მწ. მასწავლებელი	3	400	1200	14400
16.	მწ.მასწავლებელი	1	610	610	7320
17.	მწ.მასწავლებელი	5	315	1575	18900
18.	მწ.მასწავლებელი	1	484	484	5808
19.	დამლაგებელი	1	363	363	4356
20.	დამლაგებელი	2	254	508	6096
21	დარაჯი	1	218	218	2616
	სულ ჯამი	31		17600	211200

დანართი N5

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაოკლუბი ფალავანი"-ს 2025 წლის სპორტის სახეობების მიხედვით გასაცემი სტიპენდიის თანხები. ლარებში.

სახეობა	ოლიმპიური თამაშები	მსოფლიო ჩემპიონატი	ევროპის ჩემპიონატი	საქართველოს ჩემპიონატი
ა) სპორტული ჭიდაობა				

ოლიმპიურ სახეობებში

დიდებს შორის I	1000ლარი	800ლარი	500ლარი	300ლარი
დიდებს შორის II	800ლარი	600ლარი	400ლარი	200ლარი
დიდებს შორის III	500ლარი	400ლარი	350ლარი	150ლარი
23წლამდელებიდა ახალგაზრდები I		400ლარი	300ლარი	150ლარი
23წლამდელებიდა ახალგაზრდები II		350ლარი	250ლარი	
23წლამდელებიდა ახალგაზრდები III		300ლარი	200ლარი	
ჭაბუკები და უმცროსი ასაკის ჭაბუკები I		300ლარი	250ლარი	100ლარი
ჭაბუკები და უმცროსი ასაკის ჭაბუკები II		250ლარი	200ლარი	
ჭაბუკები და უმცროსი ასაკის ჭაბუკები III		200ლარი	150ლარი	

ბ)სპორტის არაოლიმპიური სახეობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს მიეცეს ოლიმპიური სახეობის შესაბამის ნომინაციაში არსებული სტიპენდიის 50%.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი